ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

# ელექტრონული სწავლების ხარისხის მართვის მექანიზმები

**დამტკიცებული:**

სენატის სხდომის ოქმი N11.

თარიღი: 15.09.2023 წ.

დადგენილება N34.

**ცვლილება:**

სენატის სხდომის ოქმი N2.

თარიღი: 28.01.2025 წ.

დადგენილება N38.

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დოკუმენტი აღწერს „ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“) ელექტრონული სწავლების პერიოდში გამოყენებულ ხარისხის მართვის მექანიზმებს, რომლებიც შემუშავებული იქნა უნივერსიტეტის მიერ სასწავლო პროცესის უწყვეტად და ეფექტიანად განხორციელების მიზნით;

1.2. უნივერსიტეტში ხარისხის მართვის სისტემა შექმნილია რათა სისტემატურად ხდებოდეს ხარისხის უზრუნველყოფა და შეფასება. ამდენად უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლა სწავლების პროცესები შიდა ხარისხის მართვის სისტემის ერთ - ერთი მნიშვნელოვანი პროცესია.

## მუხლი 2. ელექტრონული სწავლა/სწავლების პროცესები

2.1 უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლა/სწავლების პროცესის მიზანია ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებული მიმდინარე ყველა პროცესის ხარისხის განვითარებაზე ზრუნვა, რომელიც მოიცავს:

- უნივერსიტეტის მხრიდან იმ სტუდენტების მხარდაჭერას, რომლებსაც არ აქვთ სათანადო რესურსები და აღჭურვილობა (კომპიუტერი, წვდომა ინტერნეტთან და სხვა), რათა სრულყოფილად ჩაერთონ სასწავლო პროცესში;
- ელექტრონული პლატფორმის გამოყენების შესახებ სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინფორმირების მიზნით ტრენინგებითა და ვიდეო ინსტრუქციებით უზრუნველყოფას ელექტრონული პლატფორმების შეუფერხებლად გამოყენებისათვის;
- სასწავლო კურსებისათვის სათანადო სწავლა სწავლების მეთოდებისა და სტუდენტთა რელევანტური შეფასების მეთოდების განსაზღვრას;
- ელექტრონული სწავლების შეფასებას.

## მუხლი 3. ელექტრონული სწავლების ხარისხის შეფასება

3.1. ელექტრონული სწავლების ხარისხის შეფასების მიზანია მასში ჩართული პირებისაგან უკუკავშირის მიღება. ხარისხის მართვის სამსახური ახორციელებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვას სპეციალურად შემუშავებული კითხვარის საშუალებით. (ლექტორის მიერ ელექტრონული სწავლების ხარისხის შეფასების კითხვარი - დანართი N1). გამოკითხვის შედეგად ფასდება ლექციების მსვლელობა; ლექციების ტექნიკური უზრუნველყოფა; სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხი; ინტერაქციის ხარისხი; უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან მხარდაჭერა. გამოკითხვის შედეგად ხდება შედეგების დამუშავება, რეკომენდაციების შემუშავება და შემუშავებული რეკომენდაციების გადაგზავნა ადმინისტრაციულ

ერთეულებთან ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

**3.2.** ელექტრონული სწავლების პროცესის მიმდინარეობის შეფასების მიზნით ხარისხის მართვის სამსახური ასევე ახორციელებს სტუდენტთა გამოკითხვას სპეციალურად შემუშავებული კითხვარის საშუალებით (სტუდენტის მიერ ელექტრონული სწავლების ხარისხის შეფასების კითხვარი - დანართი N2) იმის დასადგენად, თუ რამდენად კმაყოფილნი არიან სასწავლო პროცესის ელექტრონულ რეჟიმში განხორციელებით. გამოკითხვის შედეგად ფასდება ლექციების მსვლელობა, ლექციების ტექნიკური უზრუნველყოფა, სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხი, ინტერაქციის ხარისხი, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან მხარდაჭერა. გამოკითხვის შედეგად ხდება შედეგების დამუშავება, რეკომენდაციების შემუშავება და შემუშავებული რეკომენდაციების გადაგზავნა ადმინისტრაციულ ერთეულებთან ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

**3.3.** ელექტრონული სწავლების პროცესის მიმდინარეობის შეფასების მიზნით ხარისხის მართვის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ასევე ახდენს ლექციების შეფასებას წინასწარ შემუშავებული კითხვარის საშუალებით (ხარისხის მართვის სამსახურისა და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ელექტრონული სწავლების/ლექციების შეფასების კითხვარი - დანართი N3). გამოკითხვის შედეგად ფასდება: ლექტორების პრეზენტაციის უნარი და ინფორმაციის მიწოდების ტექნიკა, არის თუ არა ლექცია სილაბუსთან შესაბამისობაში, არის თუ არა ლექცია ინტერაქციული, უზრუნველყოფს თუ არა ლექტორი სტუდენტთა მაქსიმალურ ჩართულობას, იყენებს თუ არა ლექტორი PowerPoint ან PPT პრეზენტაციას ლექციის ჩატარების დროს, უზრუნველყოფენ თუ არა სავალდებულო ლიტერატურით სტუდენტებს, იყენებენ თუ არა ონლაინ სწავლებისათვის ადეკვატური გამოკითხვის ფორმებს, რამდენად ახერხებს ლექტორი სტუდენტის ობიექტურად შეფასებას. გამოკითხვის შედეგად ხდება შედეგების დამუშავება. რეკომენდაციების შემუშავება და შემუშავებული რეკომენდაციების გაცნობა ლექტორებისათვის.

**მუხლი 4. ელექტრონული სწავლების ხარისხის შეფასების ანალიზი**

**4.1.** ელექტრონული სწავლების შეფასების შედეგების ანალიზს უზრუნველყოფს ხარისხის მართვის სამსახური. შეფასების შედეგად ხარისხის მართვის სამსახური უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად შეიმუშავებს რეკომენდაციებს და გააცნობს ყველა დაინტერესებულ მხარეს ელექტრონული სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

**მუხლი 5. დასკვნითი დებულებები**

**5.1.** წინამდებარე დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის სენატი;

**5.2.** უნივერსიტეტის წინამდებარე დებულება მოქმედებს ხელმოწერისთანავე;

**5.3.** დებულების მიღება, გაუქმება, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სენატის მიერ;

**5.4.** წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.

**ლექტორის მიერ ელექტრონული სწავლების ხარისხის შეფასების კითხვარი - დანართი N1**

უნივერსიტეტი ელექტრონულის სწავლების პროცესის უკეთ ორგანიზებისათვის და მომავალში პროცესების ხარვეზების გარეშე წარმართვისათვის ატარებს გამოკითხვას. თქვენი ჩართულობა და რეკომენდაციები ღირებულია.

მადლობას გიხდით ელექტრონული სწავლების პროცესებში შეტანილი წვლილისათვის!

1. გთხოვთ, ხუთბალიანი სისტემით (ხუთი უმაღლესი შეფასებაა) შეაფასოთ ლექცია/სემინარების მსვლელობა.

   5 4 3 2 1

   შენიშვნა :----------

2. გთხოვთ, ხუთბალიანი სისტემით (ხუთი უმაღლესი შეფასებაა) შეაფასოთ ლექცია/სემინარების ფარგლებში რამდენად მიაღწიეთ სწავლის მიზნებსა და შედეგებს.

   5 4 3 2 1

   შენიშვნა ----------

3. იყო თუ არა ონლაინ ლექციები ინტერაქციული?

   დიახ არა

   შენიშვნა ----------

4. ახერხებდით თუ არა სტუდენტთა მაქსიმალურ ჩართულობას ლექცია/სემინარების მსვლელობისას?

   დიახ არა

   შენიშვნა ----------

5. იყენებდით თუ არა ონლაინ სწავლებისათვის ადეკვატური გამოკითხვის ფორმებსა და შეფასების მეთოდებს?

   დიახ არა

   შენიშვნა ----------

6. გთხოვთ, ხუთბალიანი სისტემით (ხუთი უმაღლესი შეფასებაა) შეაფასოთ, რამდენად

ობიექტურად აფასებდით სტუდენტებს.

5 4 3 2 1

შენიშვნა ----------

7. იყო თუ არა რაიმე ტიპის ტექნიკური შეფერხება ლექცია/სემინარების დროს?

დიახ არა

შენიშვნა ----------

8. გთხოვთ, ხუთბალიანი სისტემით (ხუთი უმაღლესი შეფასებაა) შეაფასოთ უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან მხარდაჭერა ონლაინ შეხვედრების უკეთ წარმართვისათვის.

5 4 3 2 1

შენიშვნა ----------

9. უზრუნველყოფდა თუ არა უნივერსიტეტი ლექტორებს ტრენინგების ჩატარებით, სასწავლო პლატფორმების გამოყენებასთან დაკავშირებით?

დიახ არა

შენიშვნა ----------

გთხოვთ, გაგვიზიაროთ რისი შეცვლა ან გაუმჯობესება გსურთ ელექტრონული სწავლების პროცესში.

---

**ხარისხის მართვის სამსახური**

**გისურვებთ წარმატებებს!**

**სტუდენტის მიერ ელექტრონული სწავლების ხარისხის შეფასების კითხვარი - დანართი N2**

უნივერსიტეტი ელექტრონულის სწავლების პროცესის უკეთ ორგანიზებისათვის და მომავალში პროცესების ხარვეზების გარეშე წარმართვისათვის ატარებს გამოკითხვას. თქვენი ჩართულობა და რეკომენდაციები ღირებულია.

მადლობას გიხდით ელექტრონული სწავლების პროცესებში შეტანილი წვლილისათვის!

1. გთხოვთ, ხუთბალიანი სისტემით (ხუთი უმაღლესი შეფასებაა) შეაფასოთ ლექცია/სემინარების მსვლელობა.

   5 4 3 2 1

   შენიშვნა :----------

2. გთხოვთ, ხუთბალიანი სისტემით (ხუთი უმაღლესი შეფასებაა) შეაფასოთ ლექცია/სემინარების ფარგლებში რამდენად მიაღწიეთ სწავლის მიზნებსა და შედეგებს.

   5 4 3 2 1

   შენიშვნა ----------

3. გთხოვთ, ხუთბალიანი სისტემით (ხუთი უმაღლესი შეფასებაა) შეაფასოთ, ონლაინ ლექციების მიმდინარეობისას ლექტორების პრეზენტაციის უნარი.

   5 4 3 2 1

   შენიშვნა ----------

4. იყო თუ არა ონლაინ ლექციები ინტერაქციული?

   დიახ არა

   შენიშვნა ----------

5. უზრუნველყოფდნენ თუ არა ლექტორები სტუდენტებს სავალდებულო ლიტერატურითა და სასწავლო მასალებით.

   დიახ არა

   შენიშვნა ----------

6. იყო თუ არა რაიმე ტიპის ტექნიკური შეფერხება ლექცია/სემინარების დროს?

   დიახ არა

შენიშვნა ----------

7. გთხოვთ, ხუთბალიანი სისტემით (ხუთი უმაღლესი შეფასებაა) შეაფასოთ უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან მხარდაჭერა ონლაინ შეხვედრების უკეთ წარმართვისათვის.

   5 4 3 2 1

შენიშვნა ----------

8. გქონდათ თუ არა უნივერსიტეტის მხრიდან მხარდაჭერა, რომ შეექმნათ თქვენთვის საჭირო პირობები (ინტერნეტთან წვდომა, კომპიუტერი) იმისათვის რომ დასწრებოდით ონლაინ ლექციებს?

   დიახ არა

შენიშვნა ----------

გთხოვთ, გაგვიზიაროთ რისი შეცვლა ან გაუმჯობესება გსურთ ელექტრონული სწავლების პროცესში.

---

**ხარისხის მართვის სამსახური**

**გისურვებთ წარმატებებს!**

**ხარისხის მართვის სამსახურისა და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ელექტრონული სწავლების/ლექციების შეფასების კითხვარი - დანართი N3**

1. გთხოვთ, ხუთბალიანი სისტემით (ხუთი უმაღლესი შეფასებაა) შეაფასოთ ლექტორის პრეზენტაციის უნარი და ინფორმაციის მიწოდების ტექნიკა.

   5 4 3 2 1

   შენიშვნა :----------

2. აცნობდა თუ არა ლექტორი სტუდენტებს სილაბუსით გათვალისწინებულ მოთხოვნებსა და შეფასების სისტემას პირველ ლექციაზე.

   დიახ არა

   შენიშვნა ----------

3. ლექციის ჩატარების დროს იყენებდა თუ არა ლექტორი PowerPoint ან PPT პრეზენტაციას?

   დიახ არა

   შენიშვნა ----------

4. იყო თუ არა ლექცია ინტერაქციული?

   დიახ არა

   შენიშვნა ----------

5. ახერხებდა თუ არა ლექტორი სტუდენტთა მაქსიმალურ ჩართულობას?

   დიახ არა

6. უზრუნველყოფდა თუ არა ლექტორი სტუდენტებს სავალდებულო ლიტერატურითა და სასწავლო მასალებით.

   დიახ არა

   შენიშვნა ----------

7. იყენებდა თუ არა ლექტორი ონლაინ სწავლებისათვის ადეკვატური გამოკითხვის ფორმებსა და შეფასების მეთოდებს?

დიახ არა

შენიშვნა ----------

8. გთხოვთ, ხუთბალიანი სისტემით (ხუთი უმაღლესი შეფასებაა) შეაფასოთ, რამდენად ობიექტურად აფასებდა ლექტორი სტუდენტს.

5 4 3 2 1

შენიშვნა ----------



NEU
ერროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი